

სარგბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 11 მარტი 2005 №53 (2376)

ფასი 50 თეთრი

უსაბერძნეთო საბერძნეთი მეფე ოტო და თოთხმეტი ყოჩაღი

საბერძნეთის ნაკრები სათბილისო მზადებას იწყებს. ევროპის ჩემპიონთა გერმანელმა თავკაცმა ოტო რეჰაგელმა უკვე გამოაცხადა იმ 14 ლეგიონერის ვინაობა, რომელთაც საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ თამაში მოუწევთ. „მეფე ოტოს“ რჩეული თოთხმეტეულისთვის თვალის ერთი შევლებაც საკმარისია დასკვნისთვის – საბერძნეთი თბილისში უძლიერესი შემადგენლობით ჩამოდის. რეჰაგელმა ისიც თქვა, ამ უქმეებზე საბერძნეთის ჩემპიონატის თამაშებს დავესწრები და დარჩენილ ექვს ფეხბურთელსაც მაშინ ვიტყვი. ერთი სიტყვით, ბერძნები სერიოზულად ემზადებიან, ხოლო ვისი აჯობებს, 26 მარტს, „ლოკომოტივის“ სტადიონზე გამოჩნდება.



ალბანეთი შევიწყო დასაჯა

მიკელე იანკუ
საბანგაბოდ
სარბილთსთვის
ტირანოღან



ასეთია მსაჯი კასის ბედი

გერმანიაში
დაჭერაში
ბრკელდება



ეტო და მაიუნოვა

შოზე
გაუბრინო
დაჯარიმს

ალანისა უაუი დაუჯდა მეექვსე მართველი ვლადიკაპკაუზი

თბილისის „დინამო“ კიდევ ერთი ფეხბურთელი გაასხვისა. გიორგი შაშიაშვილი ხვალ-ზეგ ვლადიკაპკაუს მიაშურებს და „ალანისთან“ კონტრაქტს გააფორმებს.

„დინამო“, „ალანია“ და ფეხბურთელი პირობებზე უკვე მოლაპარაკებულნი არიან, შაშიაშვილს ოსეთა-მდე ოდენ ვიზა აშორებს, რომელსაც „დინამოს“ ექს-კაპიტანი ამ დღეებში მიიღებს.

რუსეთის ჩემპიონატი ხვალ იწყება და „ალანიაში“ გიორგი შაშიაშვილის პრემიერლიგის განაცხადში შეყვანა უნდა მოასწროს. თუმცა „ალანია“ — შაშიაშვილის პირობები შეთანხმებულია, ოსები ფეხბურთელის განთავისუფლების ფურცელს დაუყოვნებლივ მიიღებენ და სხვა პრობლემა აღარ იქნება.

ხვალ კი „ალანია“ სამარაში, „კრილია სოვეტოვთან“ თამაშობს. გუნდთან ერთად არ იქნება ლადო ბურდული, რომელიც ორიოდ დღით პირად საქმეებზე თბილისში ჩამოვიდა. ჯაბა კანკავა, დავით კვიციანი და ვიტალი დარასელია უკვე სამარაში არიან და მატჩისთვის ემზადებიან, ალანიელთა მეხუთე ქართველი ლევან გვაზავა კი ტრანსფერზეა.

კობა ინასარიძე



დღეს, დავით ყიფიანის თასის ნახევარფინალის კენჭისყრის შემდეგ საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის გამგეობის მორიგი სხდომა გაიმართება. დღის წესრიგში რამდენიმე საკითხი იქნება: გამგეობის წევრები განიხილავენ აგრეთვე ლევან ცხომიძის შეიქმნის შესახებ; იმსჯელებენ კლუბების ლიცენზირებაზე; ისაუბრებენ საქართველოს ჩემპიონატის უახლოეს ცხრა ტურში მსაჯების წინასწარ დანიშვნაზე, ჩემპიონატის მატჩების შემდეგ ტელე-ინტერვიუების აუცილებლად პულ-ის სარეკლამო ბანერთან ჩაწერის თაობაზე და ყიფიანის თასის ფინალის ჩატარებასთან დაკავშირებით.

რომელიც მატჩებამდე მწვრთნელებს პრეტენზიების ხმამაღლა გამოთქმის აკრძალვას შეეხება. თუ რომელიმე გუნდის მწვრთნელი მატჩამდე მსაჯების ან მეტოქის მიმართ არაკორექტულ განცხადებას გააკეთებს, სადისციპლინო კომიტეტისგან უმკაცრესად დაისჯება.

დღევანდელ გამგეობაზე იმსჯელებენ საქართველოს სუპერთასის გათამაშების აღდგენის თაობაზეც. თუ ასეთი მატჩი გაიმართება, იგი კომერციული იქნება და თასიც სპონსორის სახელით გათამაშდება.

შეგახსენებთ, პულ-ის გამგეობაში ხუთი წევრია: თბილისის „ლოკომოტივიდან“ ლევან ყიფიანი, „ვიტჯორჯიიდან“ მალხაზ კაკაურიძე, „ბათუმიდან“ ასტამურ აბა, „დინამოდან“ კახა ჭუმბურიძე და პულ-დან, პრეზიდენტი დიმიტრი რამიშვილი.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიმართვა გულშემატკივრებისადმი

მარტის ბოლოს საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ორი უმნიშვნელოვანესი მატჩი ელის. საბერძნეთთან და თურქეთთან შეხვედრებში წარმატების შემთხვევაში ჩვენს გუნდს რეალური შანსი უნდა იქნება იმ მიზნის მისაღწევად, რასაც ექვსი შესარჩევი ტურნირის განმავლობაში ელის ქართველი გულშემატკივარი. შედეგიანი სტარტი იმედს გვაძლევს, რომ 26 და 30 მარტი ქართული ფეხბურთის ისტორიაში განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს.

ასეთ მნიშვნელოვან მატჩებში გამარჯვება მხოლოდ საფეხბურთო მოედანზე წარმატებული მოქმედებით არ მიიღწევა. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქართველი გულშემატკივრის მხარდაჭერას. ჩვენი ქვეყნის მდიდარი საფეხბურთო ტრადიცია ხომ სწორედ მსგავსი ერთსულოვნების შედეგია. თუცა, სამწუხაროდ, გვახსოვს ვაი-გულშემატკივრების საქციელის გამო მიღებული მკაცრი სანქციებიც. ქართული ფეხბურთის უახლეს ისტორიაში ასეთი მაგალითები იყო: „დინამო“ — „ლიბერეცის“, საქართველო — ირლანდიის ეროვნული და საქართველო — დანიის ახალგაზრდული გუნდების მატჩებზე. ამ ექსცესების გამო ჭეშმარიტი გულშემატკივარი უმადურებლო მატჩებით დაისჯა. უკანასკნელი განგაშის ზარი საქართველოს და ლიგის ეროვნული გუნდების ამხანაგური მატჩისას გაისმა. უფას მხრიდან მკაცრი სანქციების ნათელი მაგალითი ალბანეთის ნაკრების მიმართ გამოტანილი ვერდიქტია, რის შედეგაც ალბანელები ორ საშინაო მატჩს ცარიელი ტრიბუნებით გამართავენ.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ჯერ კიდევ პირობითი დისკვალიფიკაციის სტატუსით უწევს მატჩების საკუთარ მოედანზე გამართვა. ამიტომ მცირე დარღვევაც კი შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს და ქართველი ქომაგი ხანგრძლივი დროით დაემშვიდობოს დიდ ფეხბურთს.

იმედი გვაქვს, ქართველი გულშემატკივარი ღირსეული ქომაგობით დაეხმარება ეროვნულ ნაკრებს ჩვენი სანუკვარი მიზნის მიღწევაში.

უეფას თასი
1/8 ფინალი. პირველი მატჩები. გუშინ

ლიდი (საფრანგეთი) 0:1 ოსარი (საფრანგეთი)
მახტარი (უკრაინა) 1:3 ალბანეთი (ალბანეთი)
პარტიზანი (სერბეთი) 1:1 ცსკა (რუსეთი)
სპილია (ესპანეთი) 0:0 პარმა (იტალია)
ოლიმპიკოსი (საბერძნეთი) 1:3 ნიუკასლი (ინგლისი)
მიდლსბრო (ინგლისი) 2:3 სპორტინგო (პორტუგალია)
აუსტრია (ავსტრია) 1:1 სარაგოსა (ესპანეთი)
სტიუა (რუმინეთი) - პილიარული (ესპანეთი) გადაიდო

საბერძნეთი **როიალ ლიგა**
თასის მფლობელი რუსთაველი 2:0 ბაზილი
ლარისა 1:0 მანთი ბიოტაგორა 2:0 ბრანი

ვიყიდი
თბილისის „დინამოს“, ქუთაისის „ტორპედოს“, ბათუმის „დინამოს“ საფეხბურთო პროგრამებს (1936-1973) და საერთაშორისო მატჩების ბილეთებსა და აფიშებს (1972-1987)
ტელ: 8 99 241266

უსაბერძნეთო საბერძნეთი

საბერძნეთი

სათბილისო შემადგენლობიდან ყველაზე გამოცდილი თეოდოროს ზაგორაკისია, რომელიც იტალიურ „ბოლონიას“ თამაშობს და ნაკრების კაპიტანაცაა. ზაგორაკისი ქართველი გულშემატკივრისთვის იმითაცაა საინტერესო, რომ ჩვენი ეროვნული გუნდის წინააღმდეგ ორჯერ უთამაშა — 1996 წელს ამხანაგური მატჩში, როცა ბერძნებმა 2:1 მოიგეს და 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში (3:0). ზაგორაკისზე იმის თქმაც შეიძლება, რომ იგი ერთადერთი ბერძენი ფეხბურთელია, ნაკრებში ასზე მეტი მატჩი რომ ჩაუტარებია.

ზაგორაკისის გარდა კი ქართველების წინააღმდეგ თითოჯერ უთამაშათ ზისის ვრიზასს, სტელიოს ანაკოპულოსს და ვასილის ცარტასს.


ოტო რეპაგელის გუნდი 22 მარტს ათენში შეიკრიბება, ერთი დღით ადრე დაიწყებენ მზადებას ბერძენი 21-წლამდელები.

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ბერძნებმა დღემდე ხუთი მატჩი გამართეს — 2 მოგება, 2 ფრე, 1 წაგება. აქედან სტუმრად ჩატარებულ ორ შეხვედრაში ელინელებს არცთუ შთაბეჭდავი შედეგი აქვთ: მარცხი ალბანეთთან (1:2) და ფრე უკრაინასთან (1:1).

შედარებით ძლიერად ჩაატარეს ბერძნებმა საშინაო მატჩები: თურქეთთან 0:0, ყაზახეთთან 3:1 და დანიასთან 2:1.

ერთი სიტყვით, 26 მარტს თბილისში დიდი მატჩია და იმსაც შეგახსენებთ, რომ ფიფამ ამ მატჩის განსაჯა იტალიურ ბრიგადას მიანდო: მთავარი მსაჯი რობერტო როსეტო იქნება, ასისტენტები — მარკო ივალდი და ალესანდრო გრისელი, ხოლო სათადარიგო არბიტრი — პასკუალე როდომონტი. მსაჯების ინსპექტორი ესპანელი მანუელ ლოპეს ფერნანდესია, დელეგატი — ბელგიელი რობერტ შტარქსი.

ბახა ზალაგზბერიძე



ბერძენთა ლიდერი თეოდოროს ზაგორაკისი



ოტო რეპაგელი საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ სათამაშოდ შევირდებს სერბულად ამზადებს

მეპარე

- კოსტას ზალკასი („პორტსმუთი“, ინგლისი) — ნაკრებში 4 მატჩი, 0 გოლი
- მცველები**
- პანაიოტის ფისასი („ბენფიკა“, პორტუგალია) — 43 მატჩი, 4 გოლი
- გეორგიოს სეიტარაილისი („პორტუ“, პორტუგალია) — 30 მატჩი, 0 გოლი
- ტრაიანოს დელასი („რომა“, იტალია) — 26 მატჩი, 1 გოლი
- მიხაილის კაპისისი („ბორდო“, საფრანგეთი) — 20 მატჩი, 0 გოლი
- სოტირის კორიაკისი („რეინჯერსი“, შოტლანდია) — 10 მატჩი, 1 გოლი
- ნახევარმცველები**
- თეოდოროს ზაგორაკისი („ბოლონია“, იტალია) — 101 მატჩი, 1 გოლი
- იონანს ამანათილისი („კაიზერსლაუტერნი“, გერმანია) — 4 მატჩი, 0 გოლი
- გეორგიოს კარაგუნისი („ინტერი“, იტალია) — 40 მატჩი, 3 გოლი
- სტელიოს ანაკოპულოსი („პოლუტინი“, ინგლისი) — 46 მატჩი, 8 გოლი
- ვასილის ლაკისი („კრისტალ პალასი“, ინგლისი) — 32 მატჩი, 3 გოლი
- ვასილის ცარტასი („კოილნი“, გერმანია) — 68 მატჩი, 12 გოლი
- თავდასხმელები**
- ზისის ვრიზასი („სელტა“, ესპანეთი) — 57 მატჩი, 8 გოლი
- ანგელოს ხარისტაისი („აიაქსი“, ჰოლანდია) — 39 მატჩი, 13 გოლი.



ევრო 2004-ის ოქროს გოლის გამტანი ანგელოს ხარისტაისი თბილისშიც ჩამოვა

დარჩენილი მატჩების კალენდარი

მერვე ტური 30 მარტი	მეთერთმეტე ტური 7 სექტემბერი
უკრაინა — დანია	ყაზახეთი — საბერძნეთი
საბერძნეთი — თურქეთი	დანიის — საბერძნეთი
საბერძნეთი — ალბანეთი	უკრაინა — თურქეთი
მეცხრე ტური 4 ივნისი	მეცამეტე ტური 8 ოქტომბერი
უკრაინა — ყაზახეთი	საბერძნეთი — ყაზახეთი
ალბანეთი — საბერძნეთი	დანიის — საბერძნეთი
თურქეთი — საბერძნეთი	უკრაინა — ალბანეთი
მეათე ტური 8 ივნისი	მეთორმეტე ტური 12 ოქტომბერი
ყაზახეთი — თურქეთი	ყაზახეთი — დანია
დანიის — ალბანეთი	საბერძნეთი — საბერძნეთი
საბერძნეთი — უკრაინა	ალბანეთი — თურქეთი
9 აგვისტო	
მეათმეტე ტური 3 სექტემბერი	
ალბანეთი — ყაზახეთი	უკრაინა 6 4 2 0 11:3 14
თურქეთი — დანია	საბერძნეთი 5 2 2 1 7:5 8
საბერძნეთი — უკრაინა	თურქეთი 5 1 3 1 6:5 6
9 აგვისტო	დანიის 5 1 3 1 7:6 6
მეთორმეტე ტური 3 სექტემბერი	ალბანეთი 5 2 0 3 3:7 6
ალბანეთი — ყაზახეთი	საბერძნეთი 4 1 2 1 5:5 5
თურქეთი — დანია	ყაზახეთი 4 0 0 4 2:10 0
საბერძნეთი — უკრაინა	



სტაფა ტაფაა, ყველაფერი ზედ დაყარო?! ალბანეთი უპერენკომ დასაჯა

მიხეილ იანკო
საგანგებოდ სარბიელისთვის ბრანდიან

უფასად გადაწყვეტილებამ, ალბანეთმა უახლოესი საშინაო მატჩები საქართველოსთან და ყაზახეთთან უმეფურებლად უნდა გამართოსო, შეიძლება ითქვას, საფეხბურთო ალბანეთი შოკში ჩააგდო. მართალია, უკრაინასთან 9 თებერვლის მატჩის შემდეგ უფასად სანქციებს ველოდით, მაგრამ ასე მკაცრად თუ დაგვსჯიდნენ, ჩვენთვის წარმოუდგენელი იყო.

არადა, ამ ბოლო დროს, ალბანელი ქომაგი რატომღაც უფრო აგრესიული, უმართავი გახდა. ქომაგთა უსაქციელობას კი ალბანეთის ფეხბურთის ფედერაციაც უნებურად ხელს უწყობდა. საქმე ისაა, რომ ყოველი მატჩის წინ ფანებს ფედერაციის მუშაკები თავად ურიგებენ, ხოლმე, პეტარდებსა და სხვადასხვა საგნებს და ამით, ფიქრობდნენ, რომ ტრიბუნებზე ერთგვარ ზეიმს მოაწყობდნენ. „ქემალ სტაფაზე“ გამართულ შეხვედრებს ზეიმის ელფერი მართლაც დაჰკრავდა, მაგრამ ნაღდ ქომაგთა შორის ხულოვანიც გამოერევა და მსაჯობით თუ თამაშით უკმაყოფილო, მოედანზე ისერის ყველაფერს, რაც ხელში მოხვდება.

მაგალითად, უკრაინასთან თამაშისას იყო შემთხვევა, როცა სტუმართა კარს უკან ხანძარიც კი გაჩნდა, მეხანძრეებმა იყოჩაღეს,

თორემ სტადიონზე დიდი ამბავი მოხდებოდა. ესეც რომ არა, ერთ-ერთ უკრაინელ ფეხბურთელს ტრიბუნიდან ნასროლი პლასტიკის ბოთლი მხარზე მოხვდა და საერთოდ, ბოთლებით, პეტარდებითა თუ სხვა უცხო საგნებით უკრაინასთან მატჩის მერე მოედანი სავესე იყო.

სათქმელია, რომ ალბანეთ-უკრაინას იტალიური ფეხბურთისა და ანდრეი შევჩენკოს ფანებიც მრავლად ესწრებოდნენ. უწყსრივობა, ნაწილობრივ, მათი ბრალიც იყო. ნამატჩევს, როცა ამ ქომაგებმა გასახლედიდან გამოსული შევჩენკო დაინახეს, ავტოგრაფების მოლოდინში ლამის ერთმანეთი დახოცეს და დიდი არეულობა მოაწყვეს. პოლიციამ ფანები ხელკეტების გამოყენებით დაშალა.

მოკლედ, უკრაინასთან თამაში ალბანური ფეხბურთის ქომაგს ძვირად დაუჯდა. ისინი ფიქრობენ, რომ ეს პროვოკაცია იყო. უფასად გადაწყვეტილებით ძალიან დაზარალებდნენ კოსოვოელი ალბანელები, რომლებიც მრავლად ესწრებიან ხოლმე ალბანეთის ნაკრების ყველა მატჩს.

ალბანეთის ფეხბურთის ფედერაციამ სასჯელის შემსუბუქების თხოვნით, გუმონ უეფაში სააპელაციო წერილი გაგზავნა და ახლა პასუხს ელის. ჯერჯერობით უცნობია, აპელაციის განხილვის თარიღი, თუმცა კი ნაკლებად გვეკრავს, უეფამ თავისი გადაწყვეტილება შეცვალოს.

ჭიათურას უპაღლესი ლიბა მივალბა

ხვალ გორის „ლილა“ ჭიათურაში „უმასპინძლებს“ ქუთაისის „ტორპედოს“ მოუხსენებთ, „ლილას“ სტადიონს „ვიტ ჯორჯიასთან“ გულშემატკივრების უსაქციელობის კამო ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცეს და სწორედ ამის გამოა, ეს მატჩი იმერეთში რომ გაიმართება.

„ლინამო“ — „ზესტაფონის“ ჯახი კი „ეროვნულის“ ნაცვლად, ისინი „ოლიმპის“ სტადიონზე შედგება. ასევე გადაწყდა, რომ დინამოელები ჩემპიონატის მატჩებს 2 აპრილამდე სწორედ „ოლიმპზე“ ითამაშებენ.

ლუკა თალაგვაძე

ანდრეი ჩერვიჩენკო: გოგუა ნაღდი გატუზოა

გოგიტა გოგუა „ხიმკიში“ ხეირანად არც გადასულა, თვით კლუბის პრეზიდენტის ქება დაიმსახურა.

ანდრეი ჩერვიჩენკო რუსულ ფეხბურთში ძალიან ცნობილი და გავლენიანი ფიგურაა — თავის დროზე მოსკოვის „სპარტაკის“ პირველკაციც იყო და დღეს რომ „ხიმკი“ ტრანსფერს ტრანსფერზე ჩარხავს და ლინიერ გუნდადაც ყალიბდება, სწორედ მისი მარიფათის დამსახურებაა.

ჩერვიჩენკომ „ქიმიკოსთა“ ახალწვეულებს შორის სწორედ გოგუა გამოყო და თქვა, ეს ბიჭი ნამდვილი გატუზოა...

„რად მინდა 10-15 მილიონიანი ფეხბურთელი, როდესაც გუნდში გოგუა მყავს. მე არ დავიზარე, ქართველის თამაშს ჯერ თანამეგობრობის თასზე, მერე კი „ხიმკის“ ერთ-ერთ ვარჯიშზეც ვუყურე. მასში უმნიშვნელო თანხა გადავიხადეთ, მაგრამ ნახავთ, 2-3 წელიწადში გოგუა დიდი გაქანების მოთამაშე გახდება. ჩვენ ნამდვილი გატუზო შევიძინეთ — გოგიტა ტანით პატარაა, მკვირცხლი და შეუპოვარი ბიჭია და 90 წუთის განმავლობაში ლომივით იბრძვის. „ხიმკის“ სწორედ ასეთი ფეხბურთელი სჭირდებოდა. დამერწმუნეთ, ეს იგივეა, „მილანიდან“ 25 მილიონად ჯენარო გატუზო რომ გვეყიდა“.



ანდრეი ჩერვიჩენკო

მგონი, ჩერვიჩენკოს სიტყვებს კონსერვატიული სჭირდება. მის კი გეტყვიო, რომ გოგიტას დღე-ღამეზე „ხიმკის“ საქმიანობატი განაცხადში შევიყვანე, თრიოდ კერძოში კი ჩვენებური საქართველოს ნაკრების შეკრებაზეც ჩამოვა თბილისში...

ილია ნანობაშვილი



გოგიტა გოგუამ (№6) „ხიმკის“ პრეზიდენტს თავი შეაქებინა

ფოტო: ანდრეი ჩერვიჩენკო

თქვენი ინტეხვიუ

ზურაბ სიზანიშვილთან

«ჩინიხარსი» გლაზგო, შოტლანდია



მოგაკავართათი ცენტრფონი: 38 11 14; ელქეტრონული ფოსტა: Starmall@Caucasus.net

რუბრიკის მესამე რესპონდენტი ლევან კობიაშვილისა და შოთა არველაძის შემდეგ ზურაბ ხიზანიშვილი გახლავთ, ეროვნული ნაკრების მესამე თაობის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ნარმომადგენელი, ვისაც ალენ ყირესმა 9 თებერვალს ლიტვასთან ამხანაგურ მატჩში კაპიტნის სამკლაფურიც კი ანდო.

ახალგაზრდა უცოლო კაცის გლაზგოური ცხოვრების დეტალები შესაკითხად ალბათ იქით იქნება, ხოლო აქეთ უფრო ვინძლო საფეხბურთო კითხვები ნამოვა.

მოკლედ, იაქტიურეთ და კითხვები 18 მარტამდე მოგვანოდეთ, ხოლო „თქვენს ინტერვიუს“ ხიზანიშვილთან არაუგვიანეს 23 მარტისა იხილავთ.



ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. მერსერული. საპასუხო მატჩები

არსენალი ტრაგედია



ბიქსენტ ლიზარაზუ და რობერტ კოვიჩი ანტონიო რეისი დაფარეს

REUTERS ლონდონიდან

ლონდონი. „ჰაიბერი“. 35 463 მაყურებელი

არსენალი 1:0 ბაიერნი (1:3)

1:0 ანრი (66)



ლემანი, ლორენი, სენდროსი, ტურე, ე. კოული, ლიუნგბერგი (ვან პერსი 80), რეისი (პირესი 63), ვიერა, ფლამინი (ფაბრეგასი 63), ანრი, ბერესკამპი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი

კანი, სანიოლი, ლუსიო, რ. კოვაჩი, სალიპ ამიჯიჩი (პარგრესი 90), დაისლერი (ზე რობერტო 73), ლიზარაზუ, დემიკელისი, ბალაიკი, გერერო (ლინკე 85), პიზარო
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი

გაფრთხილება: ბერესკამპი (20), დემიკელისი (21), სალიპამიჯიჩი (58), ტურე (66), ბალაიკი (68), ლიზარაზუ (83), ფაბრეგასი (90)
მსაჯი: მასიმო დე სანტისი (იტალია)

ლივიდან სამშაბათს გავარდნილ „მანჩესტერ იუნაიტედს“ ოთხშაბათს მეორე ინგლისური ბობოლა, ლონდონის „არსენალი“ მიჰყვა. „მეთოფეებს“ უპირველეს გერმანულ

გუნდთან ერთი გოლი დააკლდათ. „ბაიერნი“ კი ბოლო სამ წელიწადში პირველად გავიდა ლიგის მეოთხედფინალში.

„უზომოდ ბედნიერები ვართ — თქვა ნა-

მატჩეც „ბაიერნის“ გამთამაშებელმა მიხაელ ბალაიკამ — წინა ორ სეზონში ჩვენ ჯგუფიდან ვერ გავდიოდით. ამდენად ახლანდელი წარმატება სიამაყის საფუძველს გვაძლევს, მით უმეტეს, რომ ჩვენი მეტოქე ინგლისის ჩემპიონი იყო“.

თუმცა „ბაიერნი“ დარი გუნდისთვის ოდენ მეოთხედფინალში გასვლა დიდი წარმატება არ უნდა იყოს და ფელიქს მაგათმაც უკვე ასხენა ჩემპიონთა თასი: „ჩვენ შეგვიძლია ლიგის მოგება და წილისყრის წინ შიშს არ ვგრძობთ. „არსენალი“ იმ დონის გუნდია, ფინალში გასვლის ნაღდი შანსი რომ ჰქონდა, მაგრამ ჩვენ ის დავამარცხეთ. ამდენად, მომდევნო მეტოქის დამარცხებაც შეგვიძლია“.

აი, სებასტიან დაისლერს ფინალი და თასის მოგება არ უხსენებია: „არსენალის“ დამარცხების მერე ზეიმი არც უნდა გავგვირბელებდეს. ახლა მთელი ყურადღება მომდევნო მატჩებზე უნდა გადავიტანოთ“.

ოთხშაბათის მატჩის მომგებმა, მაგრამ ორი შეხვედრის ფაშში დამარცხებულმა „მეთოფეთა“ მწვრთნელმა არსენ ვენგერმა კი თქვა: „საპასუხო მატჩში სასუსებით დამაკმაყოფილებლად ვითამაშეთ. დაცვაშიც აღარ დავვიშვია ისეთი უხეში შეცდომები, რომელმაც პირველი მატჩი და მთლიანად მერვედფინალური დაპირისპირება წაგვაგებინა. თუმცა გავარდნის ტრაგედიად აღიქმა არ შეიძლება. ჩვენ ბევრი ხალგაზრდა ფეხბურთელი გვყავს, რომლებმაც ფასდაუდებელი გამოცდილება მიიღეს და მომავლის იმედინად ვუყურებთ“.

უშუალოდ თამაშის მიმდინარეობაზე ჯერ არაფერი გვითქვამს და ახლა მიმოვიხილოთ. პირველ ტაიმში სტუმართა პერუელი შემტევები პაოლო გერერო და კლაუდიო პიზარო ბევრით არა, მაგრამ მაინც უფრო სახიფათოდ უტევენ, ვიდრე მასპინძლები. „არსენალს“ ფაქტობრივად ერთადერთი ნაღდი მომენტი ჰქონდა, როცა ოლივერ კანმა ტიერი ანრის დარტყმული ფეხებით დაბლოკა.

მასპინძელთა ნანატრი გოლი 66-ე წუთზე გავიდა. ეშლი კოულმა დიაგონალური პასი მისცა ანრის. ლონდონელთა ფრანგმა თავდამსხმელმა ბურთი გაისწორა და კანს დაბალი დარტყმით კუთხეში შეუგდო.

ცხადია, რომ „არსენალი“ მეორე გოლის გასატანადაც გაიწია, თუმცა კოლო ტურეს ერთი სახიფათო დარტყმის მეტს ვერაფერს გამოიჩინა. ამის საპირისპიროდ კი იენს ლემანს მოუხდა ბალაიკის დარტყმულის ღიღებულ ნახტომში მოგერიება.

თამაშში ასე დამთავრდა და ერთი, რაც ფელიქს მაგათმა დანახებით თქვა, ის იყო, რომ „ვერდერი“ და „ლევერკუზენი“, ვაგლახ, გავარდნენ და გერმანული ფეხბურთის ღირსების დაცვა აწი მხოლოდ ჩვენი მარიფათის საქმეაო.

ირაკლი ნინიძე

ბენის ბრიგადა წინ მიიწეოს



ლუის გარსიას მეორე გოლი „ლევერკუზენის“ კარში

REUTERS ლაიპციგშიდან

ლაიპციგში. „ბაიარენა“. 22 500 მაყურებელი

ლევერკუზენი 1:3 ლივერპული (1:3)

0:1, 0:2 გარსია (28, 32), 0:3 ბაროში (67), 1:3 კრუინოვეკი (88)



ბუტი, კალსენ-ბრაკერი, რამელი (კასტრო 70), პლასენტი, ბაბიჩი, შნაიდერი, ბიროფკა, დონოვანი (ფრიცი 53), კრუინოვეკი, ბერბატოვი (ვორონინი 31), ფრანცა
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი

დუდეკი, ფინანი (ნუნესი 75), პიპია, კარაგერი (ველში 70), უორნოკი, გარსია, ჯერარდი, ჰამანი (შმიცერი 59), რიისე, ბისკანი, ბაროში
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

გაფრთხილება: ბიროფკა (44)
მსაჯი: ალან სარსი (საფრანგეთი)

დაიხ, ეს „ლევერპული“, ტრამპებით ტანჯული, პრემიერლიგაში წელში ვერგამართული და ახლა უკვე ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში მყოფი.

რაფა ბენიტესის გუნდმა ლივერპულშიც ისეთივე ანგარიშით მოუგო „ბაიერნს“, როგორცაც „ენფილდზე“ და ჯამში 6-2 დაამარცხა გერმანელები. მერსისაიდელთა ეს პანელი მწვრთნელისთვის სწორედ ეს ოთხშაბათი საღამო გამოდგა ყველაზე კომფორტული „ლევერპულის“ სათავეში მოსვლის შემდეგ: ლუის გარსიამ ორჯერ, ძალიან მახვილგონივრულად წაჰკრა ფეხი ბურთს მასპინძელთა კარის წინ და საქმეც ამით გაირკვა. მესამე კი მილან ბაროშიმ გაიტანა.

იმის მიუხედავად, რომ „ლევერპულს“ შინ 3-1 ჰქონდა მოგებული, საპასუხო თამაშს მაინც ნერვიულს ელოდნენ, თუმცა, „ბენის ბრიგადამ“ („ლევერპულის“ ახალი მედიამეტსახელია) ძალიან მშვიდად წაიყვანა თამაში და მთავარ შემოქმედად, რა თქმა უნდა, სტივენ ჯერარდი იყო, შემსრულებელი კი ამჯერად ლუის გარსია გამოვიდა.

სიმართლე რომ ითქვას, ახლა „ლევერპულს“ 10 ფეხბურთელი ჰყავს ავად — „ბაიერთან“


თამაშის წინ ჰარი კიუელი და ჯიმი ტრაორეც კი დაუშვანდნენ და მაინც, გუნდი საუცხოოდ გამოიყურებოდა. „ლევერპული“ 15-ჯერ ყოფილა ევროპულ შეჯიბრებებში და მეთედ გავიდა მეორედ ფინალში.

თავად რაფა, ცხადია, კმაყოფილი იყო. მეტიც, ჭამაში მადაც მოუვიდა: „ჩვენ არავინ გვევლიდა ფავორიტებად და ამის გამოყენება შეიძლებოდა. თუმცა, თუკი მეტოქეები ჩვენს დღევანდელ თამაშს ნახავდნენ, მიხვდებოდნენ, რომ ჩვენთან ჭიდაობა ძნელია.“

ისე რასაც ახლა ვაკეთებთ, ძალიან მნიშვნელოვანია ფანებისთვის. ამიტომ ამ ლიგას მანამდე შემოვრჩებით, სანამ სუნთქვა შეგვეტელება. ეს ჩვენი საუკეთესო თამაში იყო ევროპაში. კაპიტანმა ჯერარდმა კი თქვა: „ეგებ შედეგმა ბევრი გააკვირვა, მაგრამ ჩვენ მართლა მოსაგებად ჩამოვედით“.

„ბაიერის“ თავკაც კლაუს აუგენტალერს კი აღიარებდა დარჩენოდა: „მთ ორივე თამაშში უკეთ ითამაშეს და ღირსეულად გავიდნენ შემდეგ წრეში“.

„ლევერპული“ 8 საუკეთესოს შორისაა. „არასოდეს იქნები მარტო“, ამბობს „ენფილდური“ დევიზი.



პიერლუიჯი კოლინა უეფას მალე უბატავებს



არის თუ არა სამუელ ეტო პროვოკატორი, მომავალში გაირკვევა

თამაზისწინა და თამაზის- შემდგომ ოხერ ეპიზოდებს შორის ყველაზე მძლეობითი იყო სამუელ ეტოს გამონათქვამი, „სტემფორდ ბრიჯის“ სტიუარდებმა „შავი მაიმუნი“ მიწოდესო, რაც დღევანდელ ამბავში რასიზმში დადანიშნულუბას ნიშნავს.

გაქაჩვა-გამოქაჩვა კი იმით დაიწყო, რომ მაურინიუს თანაშემწემ, ანდრე ვილაშმა თამაზის შემდეგ ცინიკური საპაერო კოცნა გაუგზავნა ფრენკ რაიკარდს, აბა კარგად იყავითო. რაიკარდი, ეტო, რონალდინიო და კარლეს პუიოლი ვილაშს გაექანენ და სტიუარტებმა ძლივს შეიყვანეს გვირაბში სადაც შეხლა-შემოსლა გაგრძელდა.

შედა, დღეს „ჩელსი“ აცხადებს, რომ ეტო ყველაფერს იტყობდა და მისთვის მასთან არავის უწოდებია. უბრალოდ, ზოგიერთ ფეხბურთელს გადაუწყვეტია თავისი კანის ფერი

ეტო და მაიმუნობა

„ჩელსიმ“ „ბარსელონას“ დამარცხებით და ჩემპიონთა ლიგის მეოთხედიდან გასვლით დიდად იხარა, მაგრამ ახლა თავის დაცვა ცა დაანწყვიტა. ნამატჩრევს კატალონიელებმა ისეთები

თქვეს და ისეთები უამბეს მედიას, რომ უოზე მაურინიუ, მისი შევირდები და საერთოდ, მთელი „სტემფორდ ბრიჯი“ ყველაზე უნამუსო ხალხი გამოდის მსოფლიო ფეხბურთში

ვაჭრობა, რაც მდბალი საქციელია. „ჩელსის“ პრეს-მდივანმა საიონ გრინდერმა განაცხადა: „უოზე მაურინუ ძალიან შეწყუბუღულია იმით, რასაც ეტო გვაბრალდებს. ჩვენი მენეჯერი ანტი-რასისტული კამპანიის ერთ-ერთი ელჩა და ძალიან მტკივნეულად მიიღო ბრალდება ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამგვარი ბრალდებით ფანტასტიკური თამაზის დაჩრდილება სურთ.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ სიტყვები „შავი მაიმუნი“ არ თქმულა და ბრალდებები ჩვენი მინდვრის ერთ-ერთი თა-

ნამშრომლის მიმართ უსაფუძვლოა“.

თუმცა, ბარსელონელები მაინც იმეორებენ ეტოს ნათქვამს. ჯოვანი ვან ბრონკორსტი ამბობს, რომ როცა აფრიკელი გასახდელში შევიდა, ნაწყენმა თქვა, რასობრივად შეურაცხმევესო.

უეფა კი „ჩელსი“ — „ბარსელონას“ მსაჯის, პიერლუიჯი კოლინას ელოდება.

ეტო კი ძალიან გამწარებულია: „თუ „ჩელსი“ ჩემპიონთა ლიგას მოიგებს, ეს მწრე ხუმრობა იქნება და ფეხბურთელობის გუნებას წა-

მიხდენს. უბედურებაა იფიქრო, რომ ეს მაგარი გუნდია“.

მაურინიუ კი დღეს ინგლისის ფეხბურთის ასოციაციაშია, სადაც იმ უსაფუძვლო ბრალდებებზე უნდა აგებინეს პასუხი, მსაჯსა და მენეჯერს რომ დასწამა „მანჩესტერთან“ სათასო მატჩისას (იგი 5 000 გირვანქით დააჯარიმეს), ხოლო ბარსელონელის რასობრივი შეურაცხყოფის გამო ისევ პრეს-მდივნის განცხადებას მოუბურუნდეთ: „ჩვენი სტიუარდი ნირწამხდარია. იმის გამო, რაც მას ეტომ დააბრალა“.

უეფას კავშირების დირექტორის, ვილაშ გაილაშის განცხადება კი ასეთია: „ჯერჯერობით ჩვენ ვერ ვიტყვი, რომ ეტო იტყუება — ჩვენ ვიდეო და დამოუკიდებელი წყარო გვჭირდება“.

გვირაბში გაგრძელებულ ჩხუბზე რაიკარდიც ჰყვება: „დიდი არაფერი ამბავი იყო. ასეთ თამაზის შემდეგ ხდება ხოლმე. არც ვიცი, ვინ იყო ის კაცი, ჩვენთან რომ მოვიდა. ნერვიულობად არ ღირს“.

ამასობაში კი ირკვევა, რომ ეტო მსაჯ კოლინასაც გაქაჩვია, თუმცა, ყველაზე მეტად მაურინიუ ძულს: „ეგ უსირცხვილო კაცია. რამდენი ფული აქვს და გუნდს როგორ ფეხბურთს ათამაშებს. კოლინა მათ მიუხმარა, ჩემზე პენალტი არ დაინიშნა და ჩვენს კარში ჯარიმიანი გოლი ჩათვალა“.

მოკლედ, ომი გრძელდება.

ირაკლი ბაგჩაშვილი

ასა დაკუჭავს დიდი დიებო



ხლდათ, პაციენტი შესანიშნავად გრძობს თავს და ამერიდან ცხოვრებას ექიმთა უშუალო ზედამხედველობის გარეშეც მოახერხებს. ახლა მარადონას განდომის მეტი სხვა საზრუნავი არ დარჩენია. თუ იგი დიეტის წესებს დაიცავს, ერთ წელიწადში საერთოდ ვეღარ იცნობთ“ — განაცხადა მარადონას ქირურგმა, დოქტორმა ფრანსისკო ოლგინამ.

დოქტორ ოლგინის ცნობით, თერაპიის დროს ვასკულაის კუჭის მოცულობა მნიშვნელოვნად შეამცირეს, რის გამოც დიეგო უახლოესი 10 თვის განმავლობაში 40-დან 50 კილოგრამამდე დაიკლებს. „სასურველი შედეგის მისაღწევად პირველ ხანებში სპეციალური საკვების მიღება მოუწევს.

„მარადონა შემპირდა, რომ დიეტას არ დაარღვევს და ექიმთა რჩევებს ყურადღებით მოეკიდება“ — ამბობს ფრანსისკო ოლგინი „სასურველ შედეგში“ კი იმას გულისხმობს, რომ მსოფლიო ფეხბურთის ტიტანის წონა 75 კილოგრამი იქნება.

ამჟამად დიეგო პირადი ექიმის, ალფრედო კაეს თანხლებით ბაია დელ მარის ვილაზე, სადაც მომავალი ორი კვირის განმავლობაში დარჩება. „EL REY“ კოლუმბიიდან წასვლის მერეც თვეში ერთხელ მონიხულებს კარტახენას, რათა ფრანსისკო ოლგინთან აუცილებელი სამედიცინო შემოწმება გაიაროს.

ლალო ხოხიანიძე

დიეგო არმანდო მარადონა ოთხშაბათს, 9 მარტს, კოლუმბიური კლინიკიდან გამოწერეს. კარტახენელ ექიმთა წყალობით, მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდის

ლაპაროსკოპიულმა ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა.

„დიეგოს საავადმყოფოში აღარაფერი ესაქმება. მე იგი შინ გაუშვი. ოპერაცია წარმატებული გა-

გეგმა

Table with columns for teams and scores. Includes teams like ბრიუსელი, ანდერლახტი, გენტი, etc.

თურქეთი

Table with columns for teams and scores. Includes teams like ფენერბაჰჩე, გალათასარაი, ტრამპონი, etc.

მსგანეთი

Table with columns for teams and scores. Includes teams like სელტა, კადისი, ეიბარი, etc.

ამსტრია

Table with columns for teams and scores. Includes teams like პაშინგი, რაბოიტი, აუსტრია, etc.



ბენიტა ჯონსონი აფრიკელ სპორტსმენებს ტოლს არ უღებს

მამა აფრიკა?

ბენიტა ჯონსონი თეთრკანიანია და ტიტულის დაცვას აპირებს

მომავალსა და, 19-20 მარტს საფრანგეთში, სენტ ეტიენში მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაცია კროსში მსოფლიოს 33-ე ჩემპიონატს ატარებს და ამ შეჯიბრებაში შორ დისტანციებზე რბენაში მოქმედი ჩემპიონი, ავსტრალიელი ბენიტა ჯონსონიც გამოვა.

ბენიტა ჯონსონზე სიტყვა გარდა იმისა, რომ ხსენებული ჩემპიონატი ახლოვდება, იმიტომაც ჩამოვადეთ, რომ გასულ შაბათს, სიდნეიში, ბენიტა ჯონსონი 500 მეტრზე გახდა ავსტრალიის ჩემპიონი. და კიდევ იცით, რითა იგი ღირსშესანიშნაო? იმით, რომ შარშან, ბრიუსელში ის გახლდათ ერთადერთი მედალოსანი, რომელიც არც ეთიოპიელი იყო, არც კენიელი და არც უგანდელი. ერთი სიტყვით, ჯონსონი თეთრკანიანია და რჩება იმ თეთრკანიანად, რომელიც წლეულსაც შეეცდება აფრიკელი სპორტსმენების დამარცხებას.

არადა, დახეთ სტატისტიკას: სტატიურულ დისტანციებზე მორბენალ ქალთა ოცი ინდივიდუალური ჩემპიონიდან (1985-2004 წლების პერიოდში) ცამეტი ან ევროპელი იყო ან აფრიკელი, ხოლო ერთი, როგორც მოგახსენეთ, შარშან გაერია ოკეანიდან. ჩემპიონთა შორის საღღნენ ისეთი ცნობილი ვარსკვლავები, როგორებიც არიან ზოლა ბუდი (ინგლისი 1985, 1986), ანეტ სერუენი (საფრანგეთი 1987, 1989), ლინ ჯენინგსი (აშშ 1990, 1991, 1992) და პაულა რედკლიფი (2001, 2002). მათ გვერდით არ შეიძლება არ დავასახელოთ ირლანდიელი სონია ოსალივანი, რომელმაც 1998 წელს გრძელ დისტანციებზე იგარა და მოკლესაც.

აი, რაც შეეხება გუნდურ შეჯიბრებას, აქ აღმოსავლეთ აფრიკას აქვს სრული და შთამბეჭდავი უპირატესობა. თავად განსაჯეთ, ბოლო 20 წელიდან 13 კენიელთა და ეთიო-

პიელთა წილად მოდიოდა გახლდათ და მხოლოდ შვიდეჯერ მოახერხა დანარჩენმა მსოფლიომ მათ დავაში ჩარევა. თუმცა, არის ასეთი საინტერესო ნიუანსიც: ზემოხსენებული ორი ქვეყნის შემდეგ ანუ პირობითად რომ ვთქვათ ბრინჯაოს მედალი და ქვემოთ, მეათე პოზიციამდე, აფრიკელებს ვეღარ ვხედავთ.

დავუბრუნდეთ ბენიტა ჯონსონს. 2004-ში, როდესაც მან მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიბრწყინა, ეს სრული მოულოდნელობა გახლდათ, მაგრამ მას შემდეგ, რაც ავსტრალიელმა ამ წარმატებას ზედ დააყოლა მნიშვნელოვანი გამარჯვებები ამირებიეტაში (ესპანეთი), ანუტში (ბელგია), სან სებასტიანში (ესპანეთი) და რაც მთავარია, მილანში, ჩინკე მულინი (იტალია), ეჭვი არ არის, რომ ჯონსონი მომავალ შაბათს რეალურად შეეცდება ტიტულის დაცვას.

ბუბა სინარულიძე

ინგლისელისთვის მთავარი ღონღონია



მსოფლიოს რეკორდსმენი მარათონში, პაულა რედკლიფი საფრანგეთში კროსის მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობას ვერ მიიღებს, რადგან 17 აპრილს ღონღონის მარათონია და მასზე უნდა ყურადღების მთლიანად გამახვილება.

დიდი ბრიტანეთის მძლეოსნობის ფედერაციამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც წერია, რომ დიდ დისტანციებზე რბენაში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა გადაწყვიტა 19-20 მარტს სენტ ეტიენში არ ჩაივდეს.

„მან ამჯობინა მარათონისთვის მზადების პერიოდში არ გარისკოს და მსოფლიოს ჩემპიონატისთვის აუცილებელი მძიმე ვარჯიშები აირიღოს თავიდან“ — წერია განცხადებაში.

ბუბა სინარულიძე

ლინარმის სუპერტურნის

მსპანეთი. 2.2 თებერვალი - 10 მარტი

XIII ტური

გარი კასპაროვი (რუსეთი) - ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) 0,5:0,5
რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი) - პეტერ ლეკო (უნგრეთი) 0,5:0,5
ფრანცისკო ვალეზო (ესპანეთი) - ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) 0:1
მაიკლ ადამსი (ინგლისი) - დიდი

ბულგარელი ინდოელი გადაასცოცდა

ლინარმის მე-13 ტურის დაწყებამდე ერთი უსიამოვნო ამბავი მოხდა — სათამაშო დარბაზის წინ ავტომანქანას ცეცხლი გაუჩნდა. დაცვის თანამშრომლებმა მალევე ჩააქრეს ხანძარი და ამ ინციდენტს დიდოსტატებზე დიდი გავლენა არ მოუხდენია. სუპერტურნირი ჩვეულებად გაგრძელდა.

მაყურებელთა ყველაზე მეტი ინტერესი ფიდეს რეიტინგის პირველ-მეორე ადგილოსნების, გარი კასპაროვისა და ვიშვანათან ანანდის ჯახმა გამოიწვია. ინდოელმა დიდოსტატმა ლინარმის შეიდეგზის მომენტთან არ გარისკა და მასთან მშვიდობიანი თამაში არჩია. ინდოელმა კასპაროვთან რუსული პარტია გაითამაშა, რომელიც ხშირად ყაიშით მთავრდება და გამონაკლისი არც ეს მატჩი ყოფილა. მოჭადრაკეებმა დალაგებულად ითამაშეს და 22-ე სვლაზე ზავი გამოაცხადეს.

ამ ყაიშმა, ცხადია, უფრო კასპაროვი გაახარა, რუსმა დიდოსტატმა ერთპიროვნული ლიდერობა შეინარჩუნა და მთავარი მეტოქე ანანდი კუდიდან ჩამოიცილა. სამაგიეროდ, გამოჩნდა ვისელინ ტოპალოვი, რომელმაც უკვე ყველასგან დაბრწყინებული ფრანცისკო ვალეზო მეორედ დაამამაია და სუპერტურნირს ინტრიგა ბოლო ტურამდე შეუნარჩუნა.

ბულგარელმა და ესპანელმა პირველ სვლაზე F ხაზზე მხედრების გამოყვანა არჩიეს. დებიუტში ვალეზო გააქტიურდა, მე-5 სვლაზე კუთი მიეჭრა ტოპალოვს და მხედარში გაუცვალა. მცირე შეტაკების შემდეგ ტოპალოვმაც გამოიღვიძა, ლაზიერის მხრიდან რამდენიმე მანევრი განახორციელა და დედოფლით თეთრ ხელმწიფეს ქიზი გამოუცხადა. ბულგარელმა ლაზიერის ფლანგიდან გააგრძელა დაწვოლა და ასპარეზი მსუბუქ ფი-


გურებს დაუთმო. ბრძოლა კარგად ვერმა აჯობებს თეთრებს, თათბირი მხმარე ძაღად კვლავი მთავრდება და 38-ე სვლაზე გამონაკლისი მოაღწიეს.

უნგრულმა პეტერ ლეკომ ზედაზედ მე-11 ყაიში ითამაშა, ამჯერად მან ქულა მეორე წრეში სათამაშო მოასპარეზე ფიდეს ჩემპიონ რუსტამ კასიმჯანოვს გაუყო.

ლავა გვამგზავნი



კასპაროვმა ანანდის ხელი ჩამოართვა და ტოპალოვიც გამოჩნდა



1. გარი კასპაროვი (რუსეთი)	8 ქულა/11 პარტია
2. ვისელინ ტოპალოვი (ბულგარეთი)	7/11
3. ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი)	6,5/11
4. პეტერ ლეკო (უნგრეთი)	5,5/11
5. მაიკლ ადამსი (ინგლისი)	4,5/11
6. რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი)	4/12
7. ფრანცისკო ვალეზო (ესპანეთი)	3,5/11

საფეხბურთო

კელი ჰოლმისი, თრეზის ოლიმპიური ჩემპიონი, ამიერიდან ბრიტანეთის ტანსაცმის სეფექალია. იმპერიის კომანდორის თრეზი მას თვით ელვისაბედ მეორემ გადასცა.



REUTERS ლონდონიდან



REUTERS დანუბინიდან

შუბი კვლავ გურთაობს


სადაც არ ჩავა მიხელო შუბაზე, იქ ფეხბურთი უნდა ითამაშოს. მაღალიზიური სოფლის გუნდები, სხვათაგანად მეთევზე გლეხთა გუნდები სიამოვნებით დათანხმდნენ თავიანთ შორის ის კაცი ეხილათ, ვისაც ფეხბურთი ზიდანისა და რონალდინოს მხარდამხარაც უთამაშია. მთავარი საქმე კი წინ არის: მალე მაღალიზის დიდი საფორმულე პრიზი გათამაშდება.



REUTERS დანუბინიდან

ახალი ქურთუკი

ეს სნოუბორდის ტრფიალითა ახლებური ქურთუკია, რომელიც „ბარტონ სნოუბორდსმა“ გამოუშვა. სახელთში სტერეო სპიკერებია ჩამონტაჟებული, თავის კომპიუტერობით და ამბით. ხოლო თუ ყურსაცვამებსაც გააკეთებ, იქრადლე თავდაღმართებში და ილაპარაკე, თუ დიდიხორი გაქ ინტერნეტშიც შედი და ასე და უსრულდება.



REUTERS პანოფერიდან



REUTERS დანუბინიდან

ლენსი და ნორჩები

პარიზი-ნიცას ველოგარბების მეთრე დღე და კვლავ დიადი ლენს არმსტრონგი. ამჯერად მას ნორჩი ველომხედრები შემოსევიან. ეს მეთრე ეტაპი კი თგუბელისა და ტიერს შორის რომ იდო, დიდთოვლობის გამო შეუშოვლებიათ.

სარბიელი
საორტული გაზაფთი

გამოცემისა 1990 წლის
28 დეკემბრიდან

გამოცემის: ორშაბათს,
სამშაბათს, ოთხშაბათს,
ხუთშაბათს,
პარასკევის და შაბათს

გამომცემელი: შარბილი შრომისა და ინფორმაციის მინისტრის ბიუროს მიმართულია. მთავარი რედაქტორი: ილია ბაბუნაშვილი. რედაქტორი: თამაზ მიხრიაშვილი. პასუხისმგებელი რედაქტორი: ანდრეას ბურაძე. ტექნიკური რედაქტორი: მამუკა ბაბუნაშვილი. ქართული ფეხბურთის რედაქტორი: დავით თაყაიშვილი. კლავიატურის ინსპექტორი: ილია ნანობაშვილი, კასა შალამბერიძე. უცხოური ფეხბურთის რედაქტორი: ვიო ახვლედიანი, ვიო არგი დარჯანია, გიორგი კაშაქიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი.

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი შირაშვილი. ინფორმაციის რედაქცია: ვაჟა ახალაძე, ლევან კლავაძე, ოთარ მაღალაძე, კლავდი პერტაია. ფოტორეპორტიორები: გურამ ლოლონაშვილი, ბადრი კეთილაძე. სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი. კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ნათელა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვლიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზაზა მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე. თამარ ქიქელიძე, ზურა კერეთელი.

გამომცემის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბაგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29. ელექტრონული ფოსტა: sarbieli@gol.ge. ელექტრონული ვერსია: http://www.sarbieli.com.ge